

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი

29.01.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნოდარ პაპუკაშვილი - შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორი, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

დევი ხვედელიანი - ა(ა)იპ კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრი, საბჭოს მდივანი - საბჭოს სხდომის მდივანი;

ზურაბ გასიტაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; გიორგი სალუქვაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს მდივანი; გრიგოლ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რევაზ დოლონაძის სახელობის თეორიულ კვლევათა ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ირაკლი მჭედლიშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

თინათინ კაიშაური - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; თამარ ბალდავაძე - შპს „ლენდ მარკ პროჯექტის“ არქიტექტორი; ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხელოვნების ლექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
წარმომადგენლები:

თამარ ქიტიაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე;
ლელა მაისურაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მდივანი;
ნანა ყუფუნია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის წარმომადგენლები:


ინგა გიორგაძე - ადვოკატი
ჩიტუნა ქობულაძე - სასწავლო მდივანი
მეგი ასამბიანი-ტრაპაიძე - ექიმი-პედაგოგი
ნატო ტეფნაძე - ხარისხის სამსახურის თანამშრომელი

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:15საათზე.

სააპელაციო საბჭოს სამდივნოს წევრმა, ლანა გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის ხელმოწერისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“²⁶⁵-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის წახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 267-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 265-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა. ამავე ნორმის თანახმად, საბჭოს მდივნის მოვალეობა შეასრულა დევი ხვედელიანმა.



საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ, ავტორიზაციის დებულების 26^ე-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოდან სხდომას ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე თამარ ქიტიაშვილი, საბჭოს მდივანი ლელა მაისურაძე და საბჭოს წევრი ნანა ყუფუნია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის საპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.



1. შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ კოლეჯის წარმომადგენლებს მიმართა წარმოედგინათ საჩივარი და ყურადღება გაემახვილებინათ პრობლემურ საკითხებზე.

კოლეჯის ადვოკატმა, ინგა გიორგაძემ სააპელაციო საჩივარი გააცნო სააპელაციო საბჭოს.

აღნიშნა, რომ მისი აზრით, საბჭოს გადაწყვეტილება იყო იურიდიულად დაუსაბუთებელი. მიაჩნია, რომ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები არ არის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი, მითუთო, რომ დაწესებულებას თითქმის საუკუნის ისტორია აქვს.

კოლეჯს პირველი მინიტორინგის დროს დაუდგინდა ხარვეზები და საბჭომ ხარვეზების გამოსასწორებლად კოლეჯს მისცა 60 დღიანი ვადა. აღნიშნა, რომ კოლეჯმა ეს 60 დღიანი ვადა გამოიყენა და ხარვეზები გამოსასწორეს. 60 დღის შემდეგ, 61-ე დღესმონიტორინგის განმეორებითი ვიზიტი განხორციელდა კოლეჯში. ექსპერტებმა დასკვნაში ასახეს, რომ ორი სტუდენტის პირად საქმეში დაბადების მოწმობები ჩაიდო ვიზიტისას და შესაბამისად, არ მიიჩნიეს ხარვეზის გამოსასწორებად. ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ დაწესებულება არ ხელმძღვანელობდა თავისი დადგენილი რეგულაციებით.

ინგა გიორგაძეს მიაჩნია, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს გაუქმების საფუძველს. აღნიშნულ შემთხვევაში სტუდენტის პირად საქმეში დედის პირადობის მოწმობა არ იდო და მოგვიანებით ჩაიდო სტუდენტის პირად საქმეში, რითაც დასტურდებოდა, რომ სტუდენტი და ეს პიროვნება არიან დედა-შვილი. ერთ-ერთი სტუდენტის პირად საქმეში არ იყო პირადობის მოწმობის ასლი, მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მხარეთა ხელმოწერის ადგილას მითითებულია პროფესიული სტუდენტის სახელი გვარი, თუმცა არ არის ხელმოწერილი. აღნიშნა, რომ ხელშეკრულება არ არის ხელმოწერილი, ვერ იქნებოდა ხელმოწერილი, რადგან ეს სტუდენტი იყო გარიცხული. სტუდენტი ჩაირიცხა, თუმცა არ გამოცხადდა, რომ მასთან გაფორმებულიყო ხელშეკრულება. შესაბამისად, მას სტატუსი შეუწყდა და ბაზაში დაფიქსირდა, როგორც არააქტიური. ეს პიროვნება წავიდა საზღვარგარეთ. შესაბამისად, თავიდანვე ვერ მოეწერებოდა ხელი ხელშეკრულებას, რადგან სტუდენტი საერთოდ არ მისულა.

ინგა გიორგაძემ აღნიშნა, რომ ასევე საუბარი იყო სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადასთან დაკავშირებით. მითითებული ჰქონდათ, რომ შესაძლებელი იყო სტატუსის შეჩერება „ორი წლით”, ექსპერტება მიიჩნიეს, რომ უმჯობესია ჩანაწერში მიეთითოს „2

წლამდე”. აღნიშნა, რომ ისინი ამ მოსაზრებას არ იზიარებდნენ გარკვეულწილად, მაგრამ მაინც შეცვალეს.

ექსპერტებმა ხარვეზად მიიჩნიეს, რომ არ იყო ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხები. აღნიშნა, რომ მათ ჩატარეს გამოკითხვები, თუმცა განმეორებითი ვიზიტის დროს ხარვეზად მიიჩნია ექსპერტთა ჯაფრა და აღნიშნეს, რომ გამოკითხვა უნდა ჩატარებულიყო მონიტორინგის ვიზიტამდე.

გიორგი სალუქვაძემ აღნიშნა, რომ საუბარი იყო გამოკითხვის არარელევანტურობაზე.

ინგა გიორგაძემ აღნიშნა, რომ საუბარი ეხებოდა იმას რომ ექსპერტებმა ვერ გაიგეს თუ ვინ გამოკითხა. გამოკითხვა მოხდა ანონიმურად.

გიორგი სალუქვაძემ შენიშნა, რომ ექსპერტებმა ასევე აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებები არ არის გაფორმებული შრომის კანონმდებლობის მოთხოვნის გათვალისწინებით.

ინგა გიორგაძემ აღნიშნა, რომ ხელშეკრულება ნებაყოფლობითია და ეფუძნება მხარეთა შეთანხმებას. ერთი მხარე გამოთქვამს სურვილს სამუშაოს შესრულებაზე და მეორე მხარე ასაქმებს მას. მხარეები თანხმდებიან შრომის პირობებს, მათ შორის ხელფასის ანაზღაურებას, სამუშაო აღწერილობას და ა.შ. ექსპერტებმა პრობლემურად მიიჩნიეს, რომ ხელშეკრულება არ მოიცავს ინფორმაციას ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობებისა და ანაზღაურების შესახებ. ინგა გიორგაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯის მასწავლებლებს არ უწევთ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება და ამიტომ არ მიიჩნიეს საჭიროდ ხელშეკრულებაში ჩაედოთ აღნიშნული პირობები. მიაჩნია, რომ რაც არ ჭირდება დაწესებულებას არაა ვალდებული ჩადოს დასაქმებულთან ხელშეკრულებაში. მასწავლებლებს საათობრივი ანაზღაურება აქვთ და ფიზიკურად არ ხდება, რომ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება მოუწიოთ.

თავმჯდომარე დაინტერესდა, გამოასწორეს თუარა ხელშეკრულებებთან მიმართებაში ექსპერტთა ხარვეზი და საერთოდ მიაჩნიათ თუ არა ხარვეზად.

ინგა გიორგაძემ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებაში ცვლილება შეიძლება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით ნებისმიერ დროს, შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ საჭირო გახდება ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება, ხელშეკრულების პირობებს შეცვლიან და შესაბამისად მოხდება ანაზღაურებაც. ინგა გიორგაძემ იკითხა, რატომ აქვთ ვალდებულება ხელშეკრულებაში ჩაიდოს ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობები, როცა არაა საჭირო ამის გამოყენება. იკითხა რომელი კანონმდებლობა ავალდებულებთ ამას.

შენიშნა, რომ მიღებული თანამშრომლის ხელშეკრულების შეცვლა და იმივე ვადით ხელშეკრულების დადება ვერ მოხდებოდა. ამ დროს ყველას ჰგონია, რომ სამსახურს კარგავს. ხელშეკრულება არ უნდა იყოს განსჯის საგანი და ამის გამო დაწესებულებას არ შეიძლება ჩამოერთვას ავტორიზაცია. მიაჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა იქნება იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი ზეგანაკვეთურ სამუშაოს შეასრულებინებს, არ ეწერება ხელშეკრულებაში და დასაქმებულის შრომას გამოიყენებს უფასოდ.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ცვლილება უნდა შეეტანათ ხელშეკრულებებში, რადგან ეს ხარვეზია.

ირაკლი მჭედლიშვილი დაინტერესდა 3.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, ოქმში აღწერილია, რომ მასწავლებელთა შერჩევა განხორციელდა კოლეჯის მიერ დადგენილი შერჩევის წესის დარღვევით.

ინგა გიორგაძემ აღნიშნა, რომ წესის თანახმად მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდებოდა საბჭოს მიერ. თუმცა ექსპერტთა მიერ ხარვეზის დაფიქსირების შემდეგ, გამოასწორეს და წესში დარჩა მხოლოდ საბუთების წარმოდგენა და დირექტორთან გასაუბრება. წესში ცვლილებით ხარვეზი აღმოფხვრილია.

ირაკლი მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ პირველი ვიზიტის დროს ექსპერტებმა 9 ქვესტანდარტი მიიჩნიეს დარღვეულად, რომელთა გამოსასწორებლად საბჭომ დაწესებულებას მისცა ვადა - 60 დღე. განმეორებითი ვიზიტის დროს ამ 9 ქვესტანდარტიდან კვლავ დარღვეულად მიიჩნიეს 5 ქვესტანდარტი.

ზურაბ გასიტაშვილი დაინტერესდა სააპელაციო საჩივარში არაგეგმიური მონიტორინგის კანონიერებასთან დაკავშირებით რამდენად სწორი იყო დაწესებულების პოზიცია.

ინგა გიორგაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯი არის შპს. იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ორგანიზაციის შემოწმების შესახებ, ეს უნდა დაკონონებულიყო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

დევი ხვედელიანმა შენიშნა, რომ ინგა გიორგაძე საუბრობდა სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ კანონზე, რომელიც არ ვრცელდება საავტორიზაციო პროცედურებზე. შესაბამისად, კოლეჯის წარმომადგენლის არგუმენტები ამ საკითხთან დაკავშირებით მისთვის მიუღებელია.

ინგა გიორგაძემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულებით შესაძლებელია ავტორიზებული დაწესებულების მონიტორინგი განხორციელდეს, მაგრამ ადმინისტრაციული კოდექსის 21-ე მუხლი მიუთითებს, რომ მონიტორინგის განხორციელების უფლების დადგენილება უნდა მიიღოს სასამართლომ. ეს არის დაწესებულების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

ზურაბ გასიტაშვილი დაინტერესდა, რატომ მიუთითეს ეს მუხლი სააპელაციო საჩივარში. ხომ არ ფიქრობენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საბჭო გაიზიარებს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას, კოლეჯი ამ მუხლით იქნება დაცული.

ინგა გიორგაძემ აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭოს გადასაწყვეტია რა გადაწყვეტილებას მიიღებს. აღნიშნა, რომ კანონის მოთხოვნა ასეთია და სამეწარმეო საქმიანობა არის ის, რასაც შპს აკეთებს. კანონი არის უფრო ზემდგომი და არა დებულება. ამიტომ თუ მიღებულია გადაწყვეტილება მონიტორინგის განხორციელების შესახებ ეს უნდა იყოს დაკანონებული სასამართლოს მიერ.

დევი ხვედელიანმა აღნიშნა, რომ კანონი არის ყველასთვის ერთი და კანონი სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ არ ეხება საგანმანათლებლო დაწესეულებას. ამ

საფუძვლებისა და მონიტორინგის განხორციელების დადგენილების საკითხის ადრესატი არ არის სააპელაციო საბჭო, ამის ადრესატი შეიძლება მხოლოდ სასამართლო იყოს.

ინგა გიორგაძემ აღნიშნა, რომ მას სააპელაციო საჩივარში არ აქვს მითითებული კანონი სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ, მან მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹-ე მუხლი.

ირაკლი მჭედლიშვილი დაინტერესდა რამდენი სტუდენტი ჰყავს დაწესებულებას.

ინგა გიორგაძემ აღნიშნა, რომ ორივე ავტორიზებულ პროგრამაზე ერთად ჰყავთ 80 სტუდენტი.


საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მათი პოზიცია გამოეხატათ.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ განმეორებითი მონიტორინგის შედეგების განხილვა მოხდა საბჭოს ახალი შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ და საკითხის განხილვას, საბჭოს სხვა წევრებთან ერთად ესწრებოდა თვითონ, ასევე ლელა მაისურაძე და ნანა ყუფუნიაც. ასევე შენიშნა, რომ პირველადი მონიტორინგის შედეგები განიხილა საბჭოს ძველმა შემადგენლობამ და მათ მიიღეს გადაწყვეტილება ხარვეზების გამოსასწორებლად მიეცათ 60 დღის ვადა.

საბჭო მოწოდებულია ხარისხის უზრუნველყოფის თამასა ავიდეს მაღლა, მოხდეს განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა. საბჭო დაკომპლექტებულია კერძო სექტორის და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებით და კარგად აქვს თითოეულ წევრს გათავისებული პასუხისმგებლობა. საბჭო დიდ ყურადღებას აქცევს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის საკითხს კოლეჯებში.

აღნიშნა, რომ ამ კოლეჯის საკითხის განხილვის დროს მრავალი კითხვის ნიშანი გაჩნდა. ცალსახად გამოიკვეთა სურათი, რომ დაწესებულებაში მოშლილია და არ მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა. კოლეჯს არ აქვს გააზრებული პროფესიული განათლების სისტემაში რა წესები მოქმედებს, რა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებია, როგორ მოქმედებს ეს მექანიზმები და ა. შ. ამის კარგი მაგალითია ის, რომ კოლეჯს არ აქვს ინფორმაცია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის საჭირო, რათა სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელოს მონიტორინგის ვიზიტი.

შენიშნა, რომ ინგა გიორგაძემ ყველაზე ნაკლები ყურადღება გაამახვილა სტუდენტთა გამოკითხვის პროცესზე. ეს გამოკითხვა არ არის სოციოლოგიური გამოკითხვა ზოგად საკითხებთან დაკავშირებით, არამედ ეს არის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. კოლეჯს ავტორიზაცია მიენიჭა 2014 წელს და ამ დროის შემდეგ არ გამოუკითხავთ სტუდენტები. მონიტორინგის პირველი ვიზიტის შემდეგ საბჭოს მიერ ხარვეზების გამოსასწორებლად მიცემულ 60 დღის ვადაში ეს ხარვეზი კოლეჯმა არ გამოასწორა, არ გამოუკითხავთ სტუდენტები.



საკითხის განხილვას საბჭოს სხდომაზე დიდი დრო დაეთმო, შესაბამისად, საფუძვლიანად იქნა შესწავლილი მხარეთა პოზიციები. აღნიშნა, რომ საბჭოზე თავმჯდომარე დაინტერესდა და ოქმშიც ასახულია, რომ შესაძლოა არ მუშაობს გამოკითხვის მექანიზმი და იქნებ კოლეჯში არსებობდეს ხარისხის უზრუნველყოფის სხვა მექანიზმი, რაც მისცემს კოლეჯს შესაძლებლობას ყველა დაინტერესებული მხარისაგან მიიღოს გარკვეული ინფორმაცია და შემდგომში გამოიყენოს ხარისხის გასაუმჯობესებლად. აღნიშნა, რომ ამის საპასუხოდ, პოზიცია ვერ დაასაბუთეს. თქვეს, რომ დამსაქმებელთა კმაყოფილება გამოიხატება იმით, რომ აქამდე დამსაქმებელს მათთვის პრეტენზით არ მიუმართავს. აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას საკითხის განხილვისას ასევე ესწრებოდა კოლეჯის დირექტორი. აღნიშნა, რომ საბჭომ კოლეჯს მისცა საშუალება რაიმე მტკიცებულება ან არგუმენტი წარმოედგინათ ამ ხარვეზთან დაკავშირებით, თუმცა მათ ვერ წარმოადგინეს.

აღნიშნა, რომ საბჭო თანამშრომლობით მიუდგა კოლეჯის საკითხს და რიგ შემთხვევაში კოლეჯის პოზიცია გაიზიარა. თუმცა, ლოგიკურია ვერ გაითვალისწინებდა მათ პოზიციას შრომით ხელშეკრულებაში ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობების არ გათვალისწინებასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულებაში არსებითი პირობების გათვალისწინება გემოვნების საკითხია და აქვე აღნიშნა, რომ ასევე გაუღერდა, რომ მათი მასწავლებლები ღვაწლმოსილი ექიმები არიან და ერთმანეთში მორიგდებიან რამე რომ იყოს საათების განაწილებასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, ხარვეზის გამოსწორების ვერანაირი მტკიცებულება ვერ მოიპოვა ავტორიზაციის საბჭომ.

სტუდენტების დოკუმენტაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როგორც დასკვნაშიც იყო დაფიქსირებული, ადგილი ჰქონდა ხარვეზის იმდაგვარ შედეგს, რომელიც რეტროსპექტიულად ვერ იქნებოდა გამოსწორებული. როცა სტუდენტს სწავლა დასრულებული აქვს, მის პირად საქმეში დოკუმენტის ჩადებას აზრი არ აქვს. თუმცა საბჭო არ დაობს იმაზე, რომ დოკუმენტი არ დევს რომელიმე მაგიდის უჯრაში, არამედ საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა იქნეს დაცული სტუდენტთა ინტერესი და უფლებები, უნდა იყოს გაფორმებული ხელშეკრულებები მოთხოვნათა დაცვით და მოწესრიგებული უნდა იყოს დოკუმენტები.

თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენად მასობრივი ხასიათი ჰქონდა კოლეჯში დაფიქსირებულ უზუსტობებს.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ მასობრივი ხასიათი დარღვევებს არ ჰქონია. თუმცა იყო ისეთი ხარვეზები, რომელთა გამოსწორება უკვე იყო შეუძლებელი. მართალია პროფესიულ მასწავლებლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმაში კოლეჯმა შეიტანა ცვლილება, თუმცა მასწავლებლებთან უკვე გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ შეიტანეს ცვლილება. შესაბამისად, ხარვეზი გასწორებულად ვერ მიიჩნიეს ექსპერტებმა და მათი პოზიცია გაიზიარა საბჭოს წევრებმაც.

გრიგოლ ტატიშვილი დაინტერესდა როგორ ხდება პროცედურულად როცა ხელშეკრულებაში შეიტანეს ცვლილება, ამის შესაბამისად უკვე გაფორმებული ყველა მოქმედი ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს და თავიდან გაფორმდეს თუ მაში შევიდეს ცვლილება.

თავმჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა აღნიშნა, რომ მართებული იქნება ხარვეზის გამოსასწორებლად თავიდან დაიდოს განახლებული ხელშეკრულებები მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, სადაც ასევე შეიძლება ერთპუნქტში მიეთითოს წინამდებარე ხელშეკრულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ამ ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე. სამართლებრივად მოქმედი ხელშეკრულება ახლის ამოქმედებამდე ძალაშია.

ინგა გიორგაძემ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ უნდა დადგინდეს ხარვეზი, რომ მომავალში აღარ განმეორდეს უზუსტობა. შესაბამისად 60 დღეში ხარვეზი გამოსწორებულად მიიჩნია, რადგან რეგულაციაში შესაბამისი ცვლილება განახორციელეს.

დევი ხვედელიანმა შენიშნა, რომ რეგულაციის ცვლილების შემდეგ კოლეჯს ხელახლა უნდა გაეფორმებინა ხელშეკრულებები.


აღნიშნულს არ დაეთანხმა ინგა გიორგაძე. მან აღნიშნა, რომ მასწავლებლები თითქმის 15, 30 ან 40 წელია კოლეჯში არიან დასაქმებულები და არალოგიკურად მიიჩნია მათთან ხელშეკრულების ხელახლა გაფორმება.

ირაკლი მჭედლიშვილმა იკითხა რეგულაციის ცვლილების შემდეგ კოლეჯმა თუ მიიღო ახალი თანამშრომელი.

ინგა გიორგაძემ შენიშნა, რომ რეგულაციის ცვლილების შემდეგ ახალი თანამშრომელი არ მიუღიათ, თუმცა რომ მიეღოთ მასთან გააფორმებდნენ განახლებულ ხელშეკრულებას.

გრიგოლ ტატიშვილმა აღნიშნა, თუ ექსპერტთა შენიშვნა ეხებოდა წესის ცვლილებას, მიიჩნია რომ ხარვეზი გამოსწორებულია ამ შემთხვევაში და ლოგიკურია დაწესებულების პოზიცია.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, ნანა ყუფუნიამ აღნიშნა, რომ გაკვირვებულია, როდესაც საუბარია შრომის კოდექსით დადგენილ ნორმებზე და შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების დაცვაზე, რატომ დგას საერთოდ საკითხი იმის შესახებ, უნდა იყოს თუ არა გათვალისწინებული არსებითი პირობები. აღნიშნა, რომ შრომის პირობების შეცვლა არ გულისხმობს თანამშრომელთა გათავისუფლებას. შრომის კოდექსის მიხედვით არსებითი პირობის დაცვა არის სავალდებულო. იმპერატიულად წერია, რომ არსებითი პირობები * უნდა იყოს ჩადებული შრომით ხელშეკრულებაში და მათ შორისაა ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება. შესაბამისად, კოლეჯს აქვს დარღვევა და ამაზე დავაც კი უხერხულია. აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუშაობს არაერთი წელია და სრული პასუხისმგებლობით განაცხადა, რომ კოლეჯს ამ საკითხთან დაკავშირებით ნამდვილად ხარვეზი აქვს და უნდა გასწორებულიყო. აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომაზე მან დირექტორს განუმარტა, რომ არ არის აუცილებელი ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება მასწავლებელს მოუხდეს მხოლოდ ლექცია სემინარების რაოდენობის გაზრდით, შესაძლებელია მან იმუშაოს თუნდაც სტრატეგიული გეგმის შემუშავების დროს და საერთო ჯამში გასცდეს კვირეულ 40 საათიან დატვირთვას. შესაბამისად, ხელშეკრულებაში უნდა იყოს მითითებული როგორ ანაზღაურდება ასეთ დროს დასაქმებულის შრომა. აქვე აღნიშნა



შერჩევის წესისა და პროცედურების შესახებ, რომ საქმე ეხებოდა იმას, რომ დაწესებულება არ იცავს თავისივე დადგენილ წესებს და საუბარი არ ყოფილა რა და როგორ უნდა შეეცვალათ. შენიშნა, რომ მან მისცა განმარტება კოლეჯს, როდესაც კანონი არ ავალდებულებს, არ არის საჭირო ისეთი წესების დადგენა და ამუშავება, რომელსაც აპრიორი იცი რომ არ ან ვერ დაიცავ და დაარღვევ. მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხით კოლეჯს სტანდარტის დარღვევა ჰქონდა, პირველად დახმარებასთან დაკავშირებით შენიშნა, რომ მისი მოსაზრებით სამედიცინო მიმართულების კოლეჯს ეხება საქმე და ყველას უნდა ჰქონდეს გავლილი პირველადი დახმარების კურსი. თუმცა მაინც დაწესებულების პოზიცია გაიზიარა ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ უპირობოდ დარღვევად მიაჩნია შრომის კოდექსის მიერ დადგენილი არსებითი პირობების შრომით ხელშეკრულებაში არ გათვალისწინება. აქვე შენიშნა, რომ საბჭოს სხდომაზე დაინტერესდა შრომით ხელშეკრულებაში ხომ არ ეწერა, რომ შრომის შინაგანაწესი არის შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და შრომის შინაგანაწესში ხომ არ იყო დარეგულირებული ის პუნქტები რაც ხარვეზად იქნა მიჩნეული. აღნიშნული ვერ იქნა დადასტურებული.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ მასწავლებელთა შერჩევასთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს ექსპერტებს და საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრებს განუმარტეს, რომ მასწავლებლები უკვე ჰყავდათ შერჩეული და ავტორიზაციის ხელახლა გავლისათვის განაახლებდნენ. დაწესებულებას განემარტა, რომ დარღვეული რეგულაცით შერჩეული მასწავლებლის დატოვება, რეგულაციის შეცვლის შემდეგ, ნიშნავს, რომ დარღვევა არის გამოუსწორებელი. ამიტომ მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმა, რომ ხარვეზი არ გამოსწორებულა და ეს პოზიცია გაიზიარა საბჭომ. საბოლოოდ გადაწყვეტილების მიღებისას გავლენა იქონია იმან, რომ კოლეჯში არ არსებობდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, ვერც ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას და ვერც საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვისას.

ნოდარ პაპუკაშვილმა აღნიშნა, რომ მართლაც მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისათვის შეფასების სისტემა გამართული იყოს. შეფასების კითხვარების არ გამოყენება სერიოზულ პრობლემად მიიჩნია. დაინტერესდა ამის გარდა, სხვა რა ფაქტორები მიუთითებს იმაზე, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა არ არსებობდა.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭომ იმსჯელა დაეტოვებინა ავტორიზაცია თუ არა დაწესებულებისათვის, რომელიც ზრდის მომავალ ექთნის თანაშემწეებს და საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლეს. კოლეჯის წარმომადგენლებს მიეცათ სიტყვა, მოეყოლათ როგორ ხდება ორგანიზაციაში ხარისხის უზრუნველყოფა. კოლეჯის წარმომადგენლებმა ვერ დააფიქსირეს მათი პოზიცია, ვერ თქვეს. ერთადერთი მექანიზმი, რომელიც კოლეჯს ჰქონდა არის შეფასების კითხვარები, რომელსაც დაწესებულება არ იყენებდა.

გრიგოლ ტატიშვილმა აღნიშნა, რომ ფაქტობრივად ვერ იქნა მოძიებული ხარისხის გამზომი ხელსაწყოები, გამომდინარე აქედან ვერ მოხერხდებოდა ხარისხის გაზომვა. საბჭოს ოქმში არ იკვეთება, რომ ამ საკითხზე საბჭომ იმსჯელა. არ განხილულა და შეფასებულა სწავლა ნამდვილად ხორციელდება თუ არა. აღნიშნა, რომ მისთვის წმინდა იურიდიული საფუძვლისა ასევე მნიშვნელოვანია პედაგოგთა პროფესიონალიზმი და სწავლის ხარისხი.



აღნიშნა, რომ მიიჩნია, რომ კოლეჯი არ არის ახალი დაფუძნებული, მას დიდი ისტორია და წარსული აქვს, რაც თავის მხრივ მათ ხარისხზე მიუთითებს. მთავარია რამდენად კვალიფიციურია მათი კურსდამთავრებულები.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვისას ექსპერტი წარადგენს დასკვნას ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით თანმიმდევრულად და ყურადღებას ამახვილებს დაფიქსირებულ ხარვეზებზე და რეკომენდაციებზე, და პუნქტობრივად ყოველხარვეზსა და რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელს აქვს შესაძლებლობა დააფიქსიროს პოზიცია. ლოგიკურია ოქმში ვერ აისახება ყოველი სიტყვა.


საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დოკუმენტაციის, ექსპერტის პოზიციის და დაწესებულების პოზიციის შესაბამისად. როცა საქმე ეხება მონიტორინგის შედეგების განხილვას ან ავტორიზაციას, საბჭო მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს გამოარკვიოს აქვს თუ არა დაწესებულებას პოტენციალი, რომ სტუდენტს მისცეს ხარისხიანი განათლება და არის თუარა კონკურენტუნარიანი მათი კურსდამთავრებული. ლოგიკურია საბჭო ინტერესდება კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით, რომელთა შესახებ კოლეჯმა ინფორმაცია ვერ მიაწოდა საბჭოს, ასევე ადამიანური და მატერიალური რესურსის პოტენციალით. საბოლოოდ, საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება.

ნანა ყუფუნიამ აღნიშნა, რომ ოქმში დაფიქსირებულია, რომ კოლეჯის წარმომადგენლები ზეპირსიტყვიერად ადასტურებდნენ, რომ ყველა კურსდამთავრებული საქმდება. აღნიშნა, რომ სამუშაო გამოცდილებით ადასტურებს, რომ რადგან ეს დარგი რეგულირებადია დამსაქმებელი მეტ მნიშვნელობას ანიჭებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, დიპლომს და ხშირად მოუსმენია, რომ მთავარია დიპლომი და თვითონ ასწავლიან რა და როგორ უნდა შეასრულოს დასაქმების შემდეგ. ამის გარდა კოლეჯის დირექტორმა საბჭოს სხდომაზე აღნიშნა, რომ რაღაც გარემოებათა გამო კოლეჯს იმიჯი შეელახა და წლიდან წლამდე სულ უფრო ნაკლები სტუდენტი ჰყავთ. სააფთიაქო სფერო დასაქმების კუთხით პირველ ორმოცდაათეულში შედის. კოლეჯი უნდა დაფიქრდეს ხარისხზე და გამოკვეთონ პრობლემები და მეტი ყურადღება უნდა გაამახვილონ, თუ რატომ შემცირდა ჩარიცხვის მსურველთა მოთხოვნა.

ზურაბ გასიტაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ დასკვნაში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია დოკუმენტების არასრულყოფილებაზე და არა სწავლების ხარისხთან მიმართებით.

ლელა მაისურაძემ აღნიშნა, რომ საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილება, თუ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს ავტორიზაციის ერთ-ერთ ქვესტანდარტს, შესაბამისად სტანდარტს. საბჭო მაქსიმალურად ცდილობს ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს საკითხის ირგვლივ და პოზიტიურადაა მომართული, რომ მხარი დაუჭიროს დაწესებულების განვითარებას.

აღნიშნა, რომ ზემოთ ხსენებული პირადობის მოწმობის პირად საქმეში ჩადება კოლეჯს საბჭოს მიერ დადგენილ 60 დღიან ვადაშიც შეეძლო, თუმცა ჩადო 61-ე დღეს. ამით საქმის



მიმართ მათი დამოკიდებულება გამოვლინდა. გარდა ამისა ხარისხის კუთხით არაერთი კითხვა დასვეს საბჭოს წევრებმა, რის გაკეთებას აპირებენ, თუმცა მათგან პასუხები ვერ მიიღეს.

გრიგოლ ტატიშვილი დაინტერესდა თუ მიიღო ინფორმაცია საბჭომ სასწავლო გარემო როგორი აქვს კოლეჯს.

ლელა მაისურაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ვიზიტისას გადაღებული ფოტომასალა წარმოუდგინეს საბჭოს, სადაც კოლეჯის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსიც იყო აღმოჩენილი და არცთუ სასიამოვნო განწყობა შეექმნა სურათების ხილვის შემდეგ.

ზურაბ გასიტაშვილი დაინტერესდა რამდენ დაწესებულებასთან აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, სად გადიან პრაქტიკებს სტუდენტები. ასევე შენიშნა, რომ ქვეყანაში ექთნების რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირეა ვიდრე ექიმების, თუმცა, ოთხმაგი რაოდენობაა საჭირო ნორმატივის მიხედვით. არაა გასაკვირი, რომ სტუდენტთა მოთხოვნა არ იყოს ამ პროგრამებზე ქუთაისში, მაშინ, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებზე არ ივსება ჯგუფები. აქვე აღნიშნა, რომ სამარცხვინოა, როცა 100 წლიანი ისტორიის მქონე დაწესებულება, რომელსაც სულ 80 სტუდენტი ჰყავს, მონიტორინგამდე ვერ უზრუნველყოფს გადაიხედოს მათ პირად საქმეებს. თუმცა, პირად საქმეში რაიმე დოკუმენტის დებაზე მეტად მნიშვნელობაზი და გასათვალისწინებელი გარემოებაა დასაქმების მაჩვენებელი ან როგორია სწავლის ხარისხი. დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმება, მითუმეტეს ქუთაისში, მაშინ, როცა ამდენი წელია ეს კოლეჯი ამზადებს კადრებს, მიიჩნია, რომ ავტორიზაციის გაუქმებას სერიოზული მიზეზები სჭირდება, მტკიცებულებები და არა სიტყვიერი განმარტება, რომ სწავლის ხარისხი არ არის დააკმაყოფილებელი. აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში არ ჩანს ეს მიზეზები, თუ რატომ გაუუქმდა კოლეჯს ავტორიზაცია.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის გასაგებია ზურაბ გასიტაშვილის განწყობა. ხშირად წვრილმანი დეტალების, თუნდაც პირად საქმეში ერთი კონკრეტული დოკუმენტის დების საკითხის განხილვას საბჭო გარკვეულ დროს უთმობს. აღნიშნა, რომ სისტემა არის რეფორმის პროცესში, ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტები 2019 წლის ოქტომბრიდან შეიცვლება. ახალი სტანდარტები იქნება ბევრად უფრო ღრმა და რაფინირებული. მოქმედი სტანდარტები არის დეკლარაციული. თუმცა ამ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს კოლეჯი და მითუფრო ვერ დააკმაყოფილებს ახალი სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნა, რომ ექსპერტები მოქმედი სტანდარტებით ხელმძღვანელობენ და შესაბამისად ადგენენ დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენლებს უნდა შეეძლოთ დაიცვან საკუთარი პოზიცია დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებთან და გერემონებთან დაკავშირებით საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვისას და წარმოაჩინონ საკუთარი დაწესებულება და მისი პოტენციალი, ხედვა და ა. შ. მაშინ, როცა საბჭო ვერც დოკუმენტების შესწავლისას და ვერც ზეპირი მოსმენისას ვერ რწმუნდება, რომ დაწესებულებას აქვს პოტენციალი ლოგიკურია საბჭო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს.



ირაკლი მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ თუ ახალი სტანდარტები 2019 წლის ოქტომბერში შედის ძალაში, ამ დროისათვის თუ ვერ დააკმაყოფილებს ახალ სტანდარტებს მაშინაც შეიძლებოდა ავტორიზაციის გაუქმება კოლეჯისათვის.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ დროისათვის უკვე ირღვეოდა ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტები.

გრიგოლ ტატიშვილი დაინტერესდა რა საბუთი აქვს ავტორიზაციის საბჭოს, რომ კოლეჯში სწავლა არ მიმდინარეობდა ხარისხიანად.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭო ამ კითხვის დასმით ეჭვებეშ აყენებს ავტორიზაციის სტანდარტების საკითხს. ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას ხელძღვანელობს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად.

ირაკლი მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ოქმის ჩანაწერების მიხედვით გამოკითხვა ერთი კვირით ადრე ჩატარდა და რას გულისხმობს აღნიშნული ჩანაწერი.

თამარ ქიტიაშვილმა განმარტა აღნიშნული ჩანაწერი. დაწესებულებამ გამოკითხვა ჩაატარა მეორედ განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტიდან ერთ კვირაში, ზეპირ მოსმენამდე ცოტახნით ადრე. ანუ დარღვევა არ გამოსწორდა განმეორებით მონიტორინგამდე, მაშინ როცა 60 დღე ჰქონდათ მიცემული ხარვეზების გამოსასწორებლად და ამის შემდეგ განხორციელდა განმეორებითი მონიტორინგი. აქვე შენიშნა, რომ ყველაზე მეტად პრობლემურია ის, რომ კოლეჯმა გამოკითხვა ჩატარა მხოლოდ იმიტომ, რომ ხარვეზი გამოესწორებინათ, ვერ აცნობიერებს რა არის გამოკითხვა და რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს რეალურად.

ნოდარ პაპუკაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენლების მოსაზრებით დაწესებულებას განვითარების პერსპექტივა არ აქვს. აღნიშნული დაადასტურა თამარ ქიტიაშვილმა.

ნანა ყუფუნიამ აღნიშნა, რომ ოქმში საკმაოდ დეტალურად ჩანს, რომ საბჭოს წევრები ცდილობდნენ მეტი ინფორმაცია მიეღოთ დაწესებულებისაგან. ვახტანგ ჭარაიამ, განაცხადა, რომ არსებობს რეიტინგი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, სადაც არის ერთი კონკრეტული პარამეტრი, რომელიც გულისხმობს პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების შესაბამისობას ბაზრის მოთხოვნებთან. სამწუხაროდ, საქართველო არის ასეულს მიღმა. ეს არის კატასტროფული მაჩვენებელი. ის, რომ მარტო სერთიფიკატი აქვს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ბაზრის მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ. მერე დამსაქმებელს ხელახლა უწევს სწავლება. გიორგი ტრაპაიძე დაინტერესდა, სტუდენტებს თუ შეხვდნენ ექსპერტები ვიზიტის დროს და მათი კმაყოფილება როგორი იყო. აღნიშნულზე ექსპერტებმა განმარტეს, რომ სტუდენტებს სასწავლო პროცესზე პრეტენზია არ ჰქონიათ, თუმცა ისურვებდნენ გარემო პირობების, ინფრასტრუქტული ნაწილის გაუმჯობესებას.



დასასრულს, დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს წარუდგინეს სტუდენტთა მიერ მინისტრის სახელზე დაწერილი წერილი, რომლითაც გამოხატავდნენ დაწესებულებისადმი მხარდაჭერას შემდგომი სწავლის პროცესის გაგრძელების მიზნით.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:30საათზე.

საბჭოს სხდომამ ღია რეჟიმში განაგრძო მუშაობა 18:55საათიდან.

ნოდარ პაპუკაშვილმა ჰკითხა კოლეჯის წარმომადგენლებს, რას ეყრდნობიან, როცა ასახელებენ დასაქმების მაჩვენებლებს.

ინგა გიორგაძემ აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან სააფთიაქო ქსელებში შპს ავერსი ფარმა დაშპს PSP, ასევე მოთხოვნაა სამედიცინო დაწესებულებებიდან.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს ახალი შემადგენლობის მეოთხე სხდომაა და ამ საკითხზე ყველაზე რთულია გადაწყვეტილების მიღება. შენიშნეს, რომ არ ეთანხმებიან კოლეჯის მიდგომას, რომ არ ეთანხმებიან დაფიქსირებულ ხარვეზებს და არ ცდილობენ გამოასწორონ, არამედ ცდილობენ ადვოკატის ლოგიკით გააგრძელონ პოზიციის დაცვა. ყველა საბჭო ორიენტირებულია სტანდარტების დანერგვაზე და დაწესებულებების განვითარებაზე.

აღნიშნა, რომ საბჭოს თითოეულმა წევრმა იმსჯელა. საბჭოს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს მეტი არგუმენტები უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღებისას. ექსპერტებთან მიმართებით შეიძლება ითქვას, რომ უნდა ჰქონდეთ უფრო მკაფიო ინდიკატორები, რასაც დაეყრდნობა ავტორიზაციის საბჭო, თუ რატომ თვლიან, რომ ირღვევა სტანდარტი, რაც უარყოფითად აისახება სწავლა-საწავლების ხარისხის საკითხზე. ავტორიზაციის გაუქმების უკან უამრავი პრობლემა იქმნება, შესაძლოა იმ პოლიტიკის საწინააღმდეგო, რაც ქვეყანას აქვს არჩეული, ამ ყველაფრის უკან ბევრი ოჯახი დგას. ასევე აღნიშნა, რომ ნამდვილადაა ქვეყანაში ექთნების სიმცირე, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთავარია ექთანი გვყავდეს და არაა მნიშვნელოვანი მისი კვალიფიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის მიმართ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის №195 გადაწყვეტილების ხელახლა განხილვისათვის დაბრუნების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:


„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 267-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის (ს/კ:212703546) ავტორიზაციის საკითხი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ კითხვები უფრო ექნებოდათ ექსპერტებთან მიმართებაში. ავტორიზაციის საბჭომ იმსჯელა მართლაც სიღრმისეულად და მათ არგუმენტები მიაწოდეს სააპელაციო საბჭოს. ამასთანავე მიაჩნია, რომ ოქმში არაა ასახული ამომწურავი არგუმენტაცია, რასაც ეფუძნება ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 19:05 საათზე.

თავმჯდომარე



ნოდარ პაპუკაშვილი

მდივანი

დევი ხვედელიანი

